ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

14–20 მაისი, 1994 წ.
№15 (10883) ფასი 30 000 კუპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## სეოკის სესიის შესახებ

1994 წლის 25 მაისს მოწვეულია საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სესია.

სესია გაიხსნება 11 საათზე თბილისში, მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის საქტო დარბაზში.

სეოკის აღმასკომი

## თავდაცვის სამინისტროს იპოდრომთან არაფერი ესაქმება

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით თბილისის სახელმწიფო იპოდრომი და ყულარის ცხენსაშენი, რომელიც ერთადერთია რესპუბლიკაში, ბალანსიდან ბალანსზე გადაეცა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურს.

თავსძენთ: დარჩა კი რამე გაუნადგურ... კლი და გაღასაცემი?

## აჭარაში სპორტსაც ჰყავს პატრონი

აჭარაში ცხოვრება ჩვეულებრივი რიტმით ვითარდება, რაც უმძიმესი პრობლემების წინაშე მდგარი ქართული სპორტისთვის გარანტირებულ იმედად რჩება. მთავარი ისაა, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება რეგიონში სპორტს ყურადღებას არ აკლებს. ამას წინათ მინისტრთა საბჭომ საგანგებო დადგენილებაც მიიღო „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. მიღწევების ფონზე კრიტიკულად შეფასდა ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებში გაწეული მუშაობა, დიდი ყურადღება დაეთმო რეზერვის აღზრდის, სპორტსმენთა დასტატებაში ხელშეწყობის, სპორტული ბაზების კეთილმოწყობის საქმეში საყოველთაო წვლილის, საქართველოს მეორე სპორტული თამაშების აჭარაში მაღალ დონეზე ჩატარების საკითხებს.

## სპორტის დეპარტამენტში

ამ კვირაში გამართულ ტრადიციულ თათბირზე ანგარიშით წარსდგნენ ჭადრაკის, კრივისა და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ფედერაციების ხელმძღვანელები. ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა ვ. შუბლაძემ ანალიზი გაუკეთა გაწეულ მუშაობას, შემდეგ ისაუბრა სრულიად ახალი სისტემის დამკვიდრების შესახებ, რაც სტიმულს მისცემს რესპუბლიკაში ჭადრაკის განვითარებას, გარდა ამისა, კომპლექსურად მოგვარდება მთელი რიგი პრობლემები.

კრივში შექმნილი მდგომარეობა ერთი მხრივ საიმედოა და მომავალზეა აქცენტირებული, მეორე მხრივ კი ბევრი რამაა საგანგაშო. ეს განსაკუთრებით ითქმის ცნობილი ოსტატების ემიგრაციაზე სხვადასხვა ქვეყანაში. ფედერაციის გენერალური მდივნის ზ. კიკნაველიძის ინფორმაციის შემდეგ გამოიტანეს დასკვნა, რომელმაც მიმდინარე პროცესები ქართული კრივის სასიკეთოდ უნდა შემოაბრუნოს.

მწვავე მსჯელობა გაიმართა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში შედეგების დაქვეითების გამო. ფედერაციის პრეზიდენტმა გ. გედეხაურმა ამჯერად მოიტანა არგუმენტები. დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ჯ. ბაგრატიონმა მკაცრად, მაგრამ ობიექტურად შეაფასა მდგომარეობა და კატეგორიულად მოითხოვა სპორტსმენთა მზადების სტრუქტურის გარდაქმნა.

შემდეგ თათბირს გააცნეს ბორჯომ-ბაკურიანში დეპარტამენტის ხელმძღვანელების მშენებლებთან ერთად სტუმრობის შედეგები. ითქვა სპორტული ობიექტების სავალალო მდგომარეობაზე, ამ ბაზების ფუნქციის უმოკლეს პერიოდში აღდგენის აუცილებლობაზე, რასაც რესპუბლიკის მთავრობის ამასწინანდელი დადგენილებაც ითვალისწინებს.

თათბირის მუშაობა შეაჯამა ჯ. ბაგრატიონმა.



## „ვითა“ და სხვები ბოლო რაუნდის წინ

როცა საქართველოს ჩემპიონატის მატჩში ერთი კალათბურთელი თავის გუნდს 37 ქულას შესძენს, თანაც შეხვედრაც რომ პრინციპული მნიშვნელობისაა, თამაშს კი „გოლიადორის“ გუნდი მხოლოდ 3 ქულის სხვაობით უგებს მეტოქეს, ძნელი გასარკვევია, რომელი მხარე უფრო ძლიერია. „ვითა“-„კაქტუსის“ შესახებ მოგახსენებთ. „ვითას“ ფავორიტმა კახაბერ შენგელიამ თავისიანებს ის 37 ქულა შესძინა, რომელზედაც ზევით ითქვა. ეს მოხდა ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ექვსეულის პირ... ტურის დასკვნით ეტაპზე. „კაქტუსთან“ გამარჯვების შემდეგ „ვითას“ 22 ქულა დაუგროვდა და მეორე ფინალური ტურის წინ ლიდერობს. „თბილისს“ 20 ქულა აქვს, იმ დღეს ამ კლუბმა დაამარცხა „თორი“ 81:71, „კაქტუსს“ 18 ქულა დარჩა, შემდეგ მოდიან „დინამო“ — 12 ქულა, რომელმაც ბოლო შეხვედრა მოუგო „აზოტს“ — 85:77, „თორი“ — 11 ქულა, „აზოტი“ — 9.

ექვსეულის ფინალური ტური თბილისის სპორტის სასახლეშივე დაიწყება 17 მაისს.

## მხარს ვუჭერთ!

თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის, სამბოს, ქართული ჭიდაობის ფედერაციები მხარს უჭერენ „ლელოს“ თაოსნობას — ქუჩის მონაკვეთს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტიდან ბაგებამდე ეწოდოს ახლო წარსულში საქართველოში სპორტული მოძრაობის ღვაწლმოსილი ორგანიზატორის, სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის ნუგზარ ენდელაძის სახელი.

## გუნდი მზადაა, ვეტყვით თუ არა გზა მშვიდობისა?

მხატვრული ტანვარჯიში, რესპუბლიკაში სპორტის პრივილეგირებულ სახეობათა განსაზღვრისას დაფინანსების თვალსაზრისით III ჯგუფში მოხვდა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ჩემპიონატი მხოლოდ 2 წელიწადში ერთხელ გაიმართება. თუმცა, ეს შეჯიბრება მაინც ყოველწლიურად შეაქვთ კალენდარში. თუ სახსრები გამოჩნდებოდა, ჩემპიონატი წლეულსაც ჩატარდებოდა. თბილისის განათლების სამმართველომ და მისმა მხატვრული ტან... ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლამ ხარჯები საკუთარ თავზე აიღეს და ეს შეჯიბრებაც მოეწყო, ოღონდ ეგაა, ...იონებიდან თბილისში მხოლოდ რუსთავის ტანმოვარჯიშეები ჩამოვიდნენ. უფროს ასაკში ორივე ქალაქის 13 მონაწილე გამოდიოდა, აქ გაიმარჯვა ე. აბრამიამ, რომელიც ზედიზედ მეორედაა უძლიერესი და ევროპის ჩემპინატის საგზურიც მას ერგო. ეკა აბრამიამ პირველობა ...ს დაუთმო რგოლით, გურზ... ...ა ბაფთით ვარჯიშებში.

...რავალჭიდში მეორე ადგილი ... მ. ცერცვაძემ, მესამე იყო ნ. წიკლაური, რომლებმაც ასევე დაისაკუთრეს ევროპის ჩემპიონატის საგზურები.

უმცროს ასაკში ადგილები ასე განაწილდა: 1. ნ. შეყრილაძე, 2. მ. შავლაძე, 3. ი. თავდიშვილი.

ერთი სიტყვით, სალონიკის ჩემპიონატის კანდიდატები კი გამოვლინდნენ, მაგრამ გუნდის დაფინანსების საკითხი ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა. ფედერაციას, ისევე როგორც შარშან, წლეულსაც ფოთის საზღვაო პორტის სპონსორული დახმარების იმედი აქვს.

ხათუნა აფაქიძე,
სპორტის ოსტატი.

## შინ და გარეთ

სოკოლოვო (ჩეხეთი). ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში. კახი კახიაშვილმა ვერცხლის მედალი მოიპოვა ორჭიდში, მესამე ადგილზე გავიდა ზუგდიდელი მუხრან გოგია, რომლისთვისაც ეს პირველი მაღალი წარმატებაა. ბიძინა მიქიაშვილი ამჯერად მეხუთე იყო. ამ სამი მონაწილისგან შემდგარმა ჩვენმა ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაში 29 ნაკრებს შორის VIII ადგილი დაიკავა.

ხელბურთი. საქართველოს ჩემპ...ტი. მესამე ფინალური ტური: „შევარდენი“ — „მამული“ 42:28, „ამირანი“ — „ახავა“ (სამტრედია) 10:0 („ახავა“ არ გამოცხადდა), „მართვე“ — „ორბი“ 28:34. გუშინ: „მამული“ — „მართვე“ 27:21, „შევარდენი“ — „ამირანი“ 22:22, „ახავა“ — „ორბი“ 22:25.

ჩოგბურთი. დევისის თასის ზონალურ ტურნირი. საქართველოს ნაკრებმა მეორე გუნდური ადგილი დაიკავა. ერთნაირი ანგარიშით 3:0 სძლია ჯიბუტისა და ზამბიის გუნდებს, 2:1 სან-მარინოს და 0:3 დამარცხდა მასპინძლებთან, სპილოს ძვლის ნაპირის ნაკრებთან. მეორე ჯგუფში ამ გუნდმა გადაინაცვლა.

## მილოცვები

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი, ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაცია დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავს დეპარტამენტის თბილისის საცხენოსო სპორტული ბაზის უფროსს ალექსანდრე დგებუაძეს.

• • •

მურიკო თოფურიძე, რეზო ყურუა, მიხეილ სალაძე, გურამ დიდბარიძე, ჯემალ მესხი, იური ურუშაძე, სულიკო კვაჭანტირაძე, ჯუმბერ მარღანია, თენგიზ გარეჩილაძე, ჯიმშერ ენუქიძე დაბადების დღეს ულოცავენ მსოფლიო ხელბურთის მშვენებას, შესანიშნავ პიროვნებას ჯემალ ცერცვაძეს.

## UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

## „ინტერის“ წარმატება

11 მაისს იტალიის „ინტერის“ ფეხბურთელებმა მილანში, „სან-სიროს“ სტადიონზე უეფას თასის გათამაშების ფინალის მეორე მატჩი გამართეს ზალცბურგის „კაზინოსთან“ (ავსტრია). პირველი შეხვედრა „ინტერმა“ ორი კვირის წინათ მეტოქის მინდორზე მოიგო ანგარიშით 1:0, ასეთივე შედეგით დამთავრდა საპასუხო თამაშიც და კვლავ „ინტერის“ სასარგებლოდ. უეფას საპატიო პრიზიც ამ გუნდმა მოიპოვა.

წინა წლებში მილანის „ინტერს“ ორჯერ ეპყრა ჩემპიონთა თასი და ერთხელ — უეფას თასი.

## 10 წელი და 65 მილიონი დოლარი

უში ლოზანის ყველაზე ლამაზი და ...ული კვარტალია. აქ არ არის ხმაურიანი საცხოვრებელი სახლები, ქუჩები, ...ლაზიები და კაფეები. უში ფეშენებელური ვილების რაიონია, რომელიც ჟენევის ტბის ნაპირზე მდებარეობს და საფრანგეთის ულამაზეს ალპებს გასცქერის. ბარონი პიერ დე კუბერტენი, რომელიც წლების მანძილზე ოცნებობდა ოლიმპიური მუზეუმის შექმნაზე, ვერც წარმოიდგენდა, რომ მის ნატვრას ასეთ ზღაპრულ ადგილზე შეესხმოდა ფრთები.

ფრანგი ბარონის მიერ დაწყებული საქმე წარმატებით დააგვირგვინა ესპანელმა მარკიზმა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა, მაგრამ არ იფიქროთ, თითქოს ეს ადვილად მოსაგვარებელი იყო. მარკიზს საამისოდ დასჭირდა... 10 წელი და 65 მილიონი დოლარი. ყველაფერი დაიწყო 1984 წელს, როცა სოკ-მა და ლოზანის ხელისუფლებამ ერთობლივად იყიდეს უშის ტერიტორიაზე განლაგებული ორი მეზობელი ნაკვეთი 33.200 კვ მეტრის საერთო ფართობით.

სოკის კუთვნილ ნაკვეთზე თავდაპირველად გეგმით განზრახული იყო „ოლიმპიური ვილის“ წამოჭიმვა, სადაც პრეზიდენტი განსაკუთრებით საპატიო სტუმრებს მიიღებდა. მაგრამ სამარანჩი მუდამ წინააღმდეგი იყო ზედმეტი პომპეზურობისა და ვილას ჩვეულებრივი, სამუშაო შტაბ-ბინა ამჯობინა. აი მუნიციპალიტეტის კუთვნილ ნაკვეთზე კი, წინასწარი მოლაპარაკებით, სოკს ოლიმპიური მუზეუმი უნდა აეშენებინა, ხოლო ქალაქი პარკის კეთილმოწყობას კისრულობდა.

1988 წლის 9 დეკემბერს ხუან ანტონიო სამარანჩმა მომავალი მუზეუმის საძირკველში საკუთარი ხელით ჩადო პირველი აგური. ამ დროისთვის პროექტი მექსიკელ პედრო რამირეს ვასკესსა და ლოზანელ არქიტექტორს ჟანპიერ კოენს უკვე მზად ჰქონდათ. მექსიკელმა არქიტექტორმა თავის დროზე ბრწყინვალე ნაგებობები შექმნა ოლიმპიურ მეხიკოში, მერე კი კოენთან დუეტში სოკის ახალი შტაბ-ბინა დააპროექტა შატო-დე-ვიდიში (იგი მწყობრში შევიდა 1986 წლის სექტემბერში).

ათი წლის წინ სოკს, ბუნებრივია, არ ჰქონდა ისეთი სახსრები, როგორიც დღესა აქვს, მაგრამ მუზეუმის მშენებლობის პირვანდელ ღირებულებაზე — 20 მილიონ დოლარზე მაინც არ უთქვამს უარი სპონსორთა იმედით. მერე მშენებლობის თანხამ ერთი სამად იმატა, გამოსავალი მაინც მოიძებნა — საკუთარი ნაწარმის რეკლამით დაინტერესებულმა ფირმებმა მუზეუმის მშენებლობას თითო მილიონი დოლარი შესწირეს, სანაცვლოდ კი მიიღეს შეღავათიანი უფლებები რეკლამის დარგში. გარდა ამისა, ყველა სპონსორის გვარი ამოიკვეთა მარმარილოს კედელზე. სადღეისოდ შევსებულია 44 ფილა, სამარანჩი დარწმუნებულია, რომ სულ მალე სამოცივე ფილა შეივსება.

ახალი ოლიმპიური მუზეუმი არა მარტო ექსპონატების საცავია, არამედ თანამედროვე ელექტრონიკით აღჭურვილი სამეცნიერო კვლევითი ცენტრი უნიკალური ბიბლიოთეკითა და არქივით. ელადის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობა ოდნავ შეშფოთებულია მუზეუმის პერსპექტივებით. მას ეშინია, რომ საერთაშორისო ოლიმპიურ აკადემიას არ გამოუჩნდეს კონკურენტი და სოკმა არ შეუწყვიტოს მას სუბსიდიები. სწორედ ამიტომ, მუზეუმის გახსნისთვის (1993 წლის 23 ივნისი) ბერძნებმა „ვერ გაიმეტეს“ ოლიმპიის ცეცხლი.

გახსნის ცერემონიალს უამრავი სტუმარი დაესწრო, მათ შორის ესპანეთის მეფე და დედოფალი, შვეიცარიის კონფედერაციის ყოფილი და ახლანდელი პრეზიდენტები, დაჯილდოებული ევროპის ქვეყნების თვალსაჩინო და სახელმწიფო მოღვაწეები, მსოფლიოს სპორტული მოძრაობის მთელი ელიტა.

მუზეუმი, არც თუ უსაფუძვლოდ, XXI საუკუნის არქიტექტურის შედევრადაა მიჩნეული. მისი სასარგებლო ფართი შეადგენს 5 სართულსა და 11 ათას კვადრატულ მეტრს. ელექტრონული ხელსაწყოების დახმარებით რამდენსამე წამში შეიძლება ნებისმიერი ინფორმაციის მიღება ოლიმპიური მოძრაობის ისტორიიდან. კომპიუტერების მეხსიერებაშია კინო და ვიდეოარქივების 7000-საათიანი ინფორმაცია, 200.000 ფოტოგრაფია... ერთი სიტყვით, ოლიმპიური მუზეუმი, როგორც დასავლეთის პრესა აღნიშნავს, თანამედროვე საინფორმაციო ხელოვნების გვირგვინია, რომელმაც აშკარად გაუსწრო თავის ეპოქას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წინაპრის არდავიწყება

წინაპართა პატივისცემა ქართველებს არ გვესწავლება, მაგრამ ზოგჯერ ტრადიციაც განიცდის ხოლმე დეფორმაციას, ზოგჯერ კი... სულაც ქრება. ამ დღეებში სახელგანთქმულ ფალავანს სანდრო კანდელაკს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა. და ეს თარიღი მცხეთის საკრებულოს გამგეობის (გამგებელი გელა მიჭელაშვილი) და რესპუბლიკის სპორტული სამყაროს ერთობლივი ძალისხმევით ისე ღირსეულად აღინიშნა, როგორც დიდი წინაპრის ღვაწლსა და ამაგს ეკადრება. კარგა ხანია ასეთი ღონისძიებისთვის ვერავინ მოიცალა. ახლა კი, ვფიქრობთ, კვლავ დაიწყო შემობრუნება და წინაპართა ხსოვნა არაერთხელ შეგვახსენებს წმინდა მოვალეობას.

მცხეთაში, ს. კანდელაკის მშობლიურ რაიონში, მთელი დღე დაეთმო გოლიათი ფალავნის ღვაწლის დაფასებას. სვეტიცხოველში გადაიხადეს პარაკლისი, გაიმართა საზეიმო სხდომა. იქვე აჩვენეს ა. ციბაძის დოკუმენტური ფილმი „ქართველი ფალავნები", რომელიც ამ 35 წლის წინათაა გადაღებული და სანდრო კანდელაკის სახეცაა შემონახული. შემდეგ ყვავილებით შეამკეს საფლავი და ძეგლი, საჭიდაო დარბაზში კი უამრავი ხალხი დაესწრო ქართულ ჭიდაობას, სადაც ს. კანდელაკის სახელობის პრიზიც გათამაშდა მძიმე წონაში. გამარჯვებულს კასპელ ჯაბა ქამხაძეს პრიზი — ჭედილა და ფასიანი საჩუქარი გადასცეს გ. მიჭელაშვილმა და კანდელაკის ვაჟმა ოთარმა.

ამ საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის წევრი და დეპუტატი მცხეთის რაიონიდან ჯუმბერ პატიაშვილი. ცხადია, შეიძლებოდა აქ წერტილი დაგვესვა, მაგრამ ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ საქართველოს ჭიდაობის სამყაროს დარაზმულობაზე და როგორც ერთმანეთის, ისე საერთო საქმისთვის შეკავშირებულ თანადგომაზე. იმ დღეს მცხეთაში ნახავდით ჩვენი ქვეყნის ფალავანთა მთელ ელიტას, რომლებმაც, როგორც ერთ-ერთი მასპინძლის — ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონის რომან რურუას თავკაცობით უდავოდ გაალამაზეს ს. კანდელაკის ღირსშესანიშნავი საიუბილეო დღე.



მცხეთა. ქართულ ჭიდაობაში სანდრო კანდელაკის სახელობის პრიზის გათამაშების ფრაგმენტი.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

თ. თომაშვილი

# პრიზი 40 ათასი მანეთი და... ძვლის კამათელი



16 [illegible] ცდიდა ბედს შეზღუდული პასუხისმგებლობის ფირმა „ჩუღურეთი-91"-ის ღია პირველობაზე მოკლე ნარდში. მთავარ ფულად პრიზს —40.000 რუსულ მანეთსა და ძვლის კამათლებს დაეუფლა ინჟინერი თენგიზ ზაქარაია. გამარჯვებულმა ფინალში ანგარიშით 11:6 სძლია ფირმა „სალომე და მარიამის" დირექტორს ცეზარ მაღლაკელიძეს, რომელსაც ჯილდოდ ერგო 20.000 მანეთი.

— შეჯიბრების მოწყობაში დიდად დაგვეხმარა ჩუღურეთის რაიონის სპორტკომიტეტი, — თქვა ფირმა „ჩუღურეთი-91"-ის დირექტორმა ნოდარ კვერნაძემ. ტურნირი მომავალში ტრადიციულად გაიმართება და უფრო წარმომადგენლობითი იქნება. მოსალოდნელია მასში უცხოეთის წარმომადგენელთა მონაწილეობაც.

თბილისელ მოყვარულებს ვიწვევთ მყუდრო შენობაში (ხეთაგუროვის 2), სადაც ისინი სასურველი სტუმრები იქნებიან.

ბარი ამირხანოვი

# მსაჯებს მეტი მოეთხოვებათ

რა დასამალია და, ახლა ჩვენში იშვიათია შეჯიბრება, რომლის შედეგები ოპტიმისტურად განგაწყობთ. განსაკუთრებით მოზარდთა ასპარეზობები გვიქმნის უიმედობის განწყობილებას, რადგან სარბიელზე გამოდის ქართული სპორტის მომავალი და ნათლად ვხედავთ რა არასაიმედო „მარაგით" ვხვდებით ხვალინდელ დღეს.

მაგრამ არის გამონაკლისიც, რომელსაც განეკუთვნება ჩვენი კრივი, რომლის მაცოცხლებელი წყარო, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ ჭაბუკთა კრივია. ამიტომაც იჩენენ მისადმი დიდ ყურადღებას სპორტის ქომაგები. ასე იყო ამ დღეებში 1976-1977 წლებში დაბადებულთა საქართველოს პირად გუნდურ პირველობაზეც, რომელსაც თბილისის „მართვეს" დარბაზმა უმასპინძლა. მაყურებელმა არაერთი საინტერესო ორთაბრძოლა იხილა და საგულისხმო ის არის, რომ მოკრივეები პირველი დღიდანვე უკომპრომისო ბრძოლებისთვის იყვნენ განწყობილი, რამაც ტურნირს მეტი ღირსება და ინტერესი შესძინა. აღიარებულ ახალგაზრდა ოსტატებთან ერთად გამოჩნდა ახალი სახელებიც, მათ შორის გორელი თ. ბებნაძე (48 კგ), რომელმაც ჯერ თბილისელ ა. ალაჯანიანს სძლია, ფინალში კი მე-2 რაუნდში აშკარა უპირატესობით დაამარცხა ტყიბულელი ზ. კორომშინაძე. თბილისელი ქვემსუბუქი წონის გ. პოსტანიცკი მეთოდურად მიიწევდა ჩემპიონობისკენ. მან მაყურებელს თავი დაამახსოვრა საქალაქო პირველობებიდან, სადაც ორგზის იზეიმა გამარჯვება — ჯერ თანატოლებში, შემდეგ კი მოზრდილებში. ამჯერად მან მძაფრ ფინალურ ბრძოლაში გამოსტაცა გამარჯვება თანაქალაქელ ბ. ჩლაგიძეს. დამსახურებულად მოიპოვა პირველობა თეთრწყაროელმა მსუბუქი წონის ევროპის პრიზიორმა ბ. ვარძელაშვილმაც.

დანარჩენ წონ[illegible]ონები გახდნენ: 46 კგ. პ. ერაძე (ჭიათურა), 51. ა. ოვანესიანი, 54. ბ. ასატუროვი (ორივე — თბილისი), 63,5. ზ. სებისკვერაძე, 67. ზ. ბაზაძე (თბილისი), 71. ვ. ტლაშაძე (გორი), 75. მ. კვანტალიანი (ქუთაისი), 81. ვ. ჭანტურია (ფოთი), 91. ი. ფხაკაძე (ქუთაისი), +91. ა. თანდაშვილი (სიღნაღი), 51,5 ქულით გუნდური გამარჯვება მოიპოვა თბილისის პირველმა ნაკრებმა, მეორე ადგილზეა ჭიათურის — 29,5, მესამეზე — ქუთაისის — 26, გუნდები.

დასასრულ მსაჯობაზე. (მთავარი მსაჯი საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ერასტი ერისთავი): ასეთი ხარვეზების გახსენება ძველ გულშემატკივრებსაც გაუჭირდებოდათ. რინგზე არ ჩანდნენ ჩვენი მაღალკვალიფიციური მსაჯები, გამარჯვებულის ბედი ხშირად მიკერძოებულად და უსამართლოდ წყდებოდა. ეს კი, როცა საქმე მოზარდთა შეჯიბრებას ეხება, ორმაგი დანაშაულია.



სამი ქართველი ჭაბუკი მოკრივე — თეთრწყაროელი ბესიკ ვარძელაშვილი (60 კგ.), ჭიათურელი ზაალ სებისკვერაძე (63,5) და გორელი ვლადიმერ ტლაშაძე (71) იბრძოდა ქ. მოგილიოვში ბელორუსიის მოზრდილთა ღია პირველობაზე. მათგან ბ. ვარძელაშვილი და ვ. ტლაშაძე ბრინჯაოს მედლებით დაბრუნდნენ შინ.

უშანგ ჭიჭინაძე

ჩაუქრობელი ვარსკვლავები

# «ბობი ფიშერი — სასწაულის პროფილი»

უკვე მესამედ თუ მეოთხედ გამოვიდა აშშ-ში ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორ ფრენკ ბრედის წიგნი „ბობი ფიშერი, სასწაულის პროფილი". წიგნის პოპულარობას ბუნებრივია თვით ფიშერის პოპულარობა განაპირობებს, მით უმეტეს, რომ ავტორი ამ საოცარი ადამიანის ცხოვრების ბევრ ისეთ წვრილმანს წარმოგვიჩენს, რომელიც ადრე ცნობილი არ იყო. მისი რომანის გმირის შესახებ ფ. ბრედიმ საინტერესო წერილი დაბეჭდა ისრაელის ჟურნალ „ალეფში", რომელსაც გთავაზობთ შემოკლებით:

...ფიშერი გავიცანი 50-იანი წლების დასაწყისში ნიუ-იორკში ერთ-ერთი საჭადრაკო ტურნირის დროს, მაგრამ განაგონი მასზე გაცილებით ადრე მქონდა. ჩვენ ორივენი ბრუკლინში გავიზარდეთ, ერთნაირად გატაცებული ვიყავით ჭადრაკით. ერთხელ ერთ ტურნირშიც ვითამაშეთ: ეს იყო ბრუკლინის გუნდური პირველობა. ჭადრაკის მოყვარულები მაშინ უკვე ლაპარაკობდნენ ამ საოცარ ბიჭუნაზე — ბობი ფიშერზე.

მე იმ დროისთვის საკმაოდ მაღალი კოეფიციენტი მქონდა, ამიტომაც ფრიად გამიკვირდა, რომ ამ ბავშვს თითქმის იგივე ქულები აღმოაჩნდა. აი, სწორედ მაშინ დავუპირისპირდით ერთმანეთს ნიუ-იორკის ტურნირში.

ყოველი ტურის შემდეგ მოჭადრაკეები ჩვეულებისამებრ ვარჩევდით ხოლმე პარტიებს, ვთამაშობდით ბლიცს, ვმსჯელობდით უკანასკნელ ამბებზე. ჭადრაკის მოყვარულთა ყურადღება მიიპყრო ათი წლის ბიჭუნამ, რომელიც თანაბრად ეთამაშებოდა კლუბის წამყვან მოჭადრაკეებს. კომენტარებს აკეთებდნენ მაყურებლებიც, ხმამაღლა რეაგირებდნენ ამა თუ იმ სვლაზე. კარგად მახსოვს ერთ დღეს ამ ბიჭუნამ, რომელსაც ჯინსის შარვალი და სპორტული მაისური ეცვა, ხმამაღლა და კატეგორიულად მოითხოვა: „თუ შეიძლება ჩუმად იყავით, აქ ჭადრაკს თამაშობენ". გაკვირვებული და დარცხვენილი მაყურებლები დაემორჩილნენ ბავშვის მოთხოვნას.

იმ დღიდან ერთი-ორად გამეზარდა ინტერესი და ცნობისმოყვარეობა ფიშერის მიმართ. ჩვენ დაახლოებულნი ვიყავით. არადა, ვერ წარმოიდგენთ რა ძნელი იყო მასთან მეგობრობა. ამ მეგობრობაში თქვენ არავითარი უფლებები არა გაქვთ; ბობი, უბრალოდ, არაფრად გაგდებთ, მაგალითად, იგი გეუბნებათ: წავიდეთ! ამ დროს თქვენ მზად არა ხართ და ერთი ორი წუთით დაყოვნებას მოითხოვთ. თქვენს სურვილს მნიშვნელობა არა აქვს. ბობი უყოყმანოდ მიგატოვებთ და წავა.

უფრო დავუახლოვდით ერთმანეთს 1961 წელს. ეს მოხდა ამერიკის ორი გამოჩენილი დიდოსტატის რობერტ ფიშერისა და სამუელ რეშევსკის სკანდალური მატჩის დღეებში. მე-11 პარტიის შემდეგ ანგარიში საყაიმო იყო, მე-12 პარტია სხვადასხვა მიზეზის გამო რამდენიმეჯერ გადაიტანეს. ბოლოს გადაწყდა ამ საბედისწერო პარტიის 11 საათზე დაწყება. ეს მოითხოვა მატჩის მფარველმა, მილიონერმა ჟაკლინ პიატიგორსკაიამ, რომელიც საღამოთი თავისი მეუღლის, ცნობილი ვიოლონჩელისტის კონცერტზე უნდა წასულიყო. ფიშერი, დილით ადრე ადგომას არ იყო ჩვეული და უარი თქვა შეთავაზებულ დროს ეთამაშა. წაგება ჩაუთვალეს. ფიშერი, პროტესტის ნიშნად, არც მეორე დღეს გამოცხადდა სათამაშოდ. მაშინ ორგანიზატორებმა გამარჯვება რეშევსკის მიაკუთვნეს. გაზეთებმა მკაცრად გააკრიტიკეს 18 წლის ყმაწვილის საქციელი და მხოლოდ მე დავიცავი იგი „ჩეს ლაიფის" ფურცლებზე. ვწერდი, რომ მოჭადრაკე არ არის შინაური ფინია, რომელიც შეიძლება აიძულო მოგიტანოს გადაგდებული ჯოხი, ან ადგილიდან ადგილზე გადახტეს. მოჭადრაკე, განსაკუთრებით კი ისეთი, როგორიც ფიშერია, ყოველმხრივ პატივისცემას უნდა იმსახურებდეს. ამ წერილის გამო ბევრი უსიამოვნება შემემთხვა. სამაგიეროდ, ფიშერის მეგობრობა შევიძინე.



ინციდენტის შემდეგ ბობი ყოველდღე მოდიოდა ჩემთან, ბევრს ვსაუბრობდით, მეტწილად ჭადრაკზე. ვსეირნობდით ნიუ-იორკის ქუჩებში. ამ პერიოდში ალბათ ზედმიწევნით კარგად შევისწავლეთ გრინვიჩ ვილიჯის რაიონი.

ფიშერი სულით მოთამაშე იყო. მე მაშინ კარგ ბილიარდისტად ვითვლებოდი. ბობიმ მთხოვა, თამაში მასწავლეო. რამდენიმე საღამო გავატარეთ ერთად საბილიარდოში, რომელიც მანხეტენზე მე-14 ქუჩის კუთხეში მდებარეობდა. ბობი მალე დაოსტატდა, მერე კი გამისწრო კიდეც. მისი მეორე გატაცება თავსატეხების ამოხსნა იყო. განსაკუთრებით ადვილად ხსნიდა „რუბიკის" საიდუმლოებას. უყვარდა ხუთწუთიანების თამაში. აქ იგი შეუდარებელი იყო. შესვენებებს იყენებდა მხოლოდ საუზმისთვის: ბუტერბროდი შავი ხიზილალით და გერმანული ლუდი — ეს იყო მისი საყვარელი რაციონი.

ერთხელ ბობის ვთხოვე ჭადრაკის რამდენიმე გაკვეთილი მოეცა ჩემთვის. ოკეი, — დამეთანხმა და დაფაზე დამალაგებინა რამდენიმე სადებიუტო ვარიანტი. მერე მირჩია, ზეპირად შემესწავლა საკმაოდ სქელტანიანი საჭადრაკო წიგნში მოყვანილი ყველა დებიუტი. გეყოფა ერთი კვირა? — მკითხა გამომცდელის ღიმილით. მე ვუპასუხე, რომ კვირა კი არა, დავალებას რამდენიმე თვეშიც ვერ შევასრულებდი, თანაც დავინტერესდი როგორი იქნებოდა მეორე გაკვეთილი. მან ყოველგვარი ხუმრობის გარეშე მიპასუხა: ყველაფერს ხელახლა გაიმეორებო. მას მიაჩნდა, რომ კარგი თამაშისთვის სწორედ ასეთი მუშაობა იყო საჭირო.

ფიშერის გაკვეთილებს უნაყოფოდ არ ჩაუვლია. მომავალ მსოფლიო ჩემპიონს უამრავი ბლიცპარტიიდან ორი მაინც მოვუგე. პირველ გამარჯვებას მივაღწიე იშვიათი სადებიუტო სისტემის გამოყენებით. მეორეს კი ჩვეულებრივ ბლიცპარტიაში.

შესაძლოა ფიშერი მსოფლიოს ჩემპიონი არც გამხდარიყო, მაგრამ ერთი რამ უდავოა გახლდათ: ეს იყო უნიკალური, განსაკუთრებული ნიჭისა და მონაცემების პიროვნება.

ერთხელ ვთხოვე ეჩვენებინა როგორ ემზადებოდა საპასუხისმგებლო პარტიისათვის. „ვთქვათ, — დაიწყო მან, — ბრონშტეინთან ვთამაშობ. უნდა გავიხსენო ყველა დებიუტი, რაც კი ამ მოჭადრაკეს უთამაშია". მან მართლაც ბევრი ილაპარაკა ბრონშტეინზე, სად და რატომ გააკეთა ესა თუ ის სვლა, სად გამოიყენა სიახლე და რა მოჰყვა მას. მერე საკუთარ სვლებზე გადავიდა, რასაც უპირისპირებდა ბრონშტეინის ამა თუ იმ გადაწყვეტილებას. მოჯადოებული ვუსმენდი და ბედნიერად ვთვლიდი თავს, რომ ასეთი რამ შევეკითხე.

როგორ ცხოვრობდა ფიშერი თავისი დიდი განმარტოების პერიოდში? კალიფორნიის ქალაქ პასადენაში ჰქონდა პატარა ბინა, შინ არავის იღებდა ახლობელი ხალხის გარდა. მოჭადრაკეთაგან მას ნორმალური ურთიერთობა შემორჩა არგენტინელ კინტეროსთან და ამერიკელ სეიდისთან. რამდენიმეჯერ სცადა ფიშერთან დაკავშირება ფიდეს პრეზიდენტმა კამპომანესმა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ჯერ მხოლოდ იმისთვის, რომ ფიშერი ასეთი ვიზიტისათვის 5 ათას დოლარს ითხოვდა. კანადის კინემატოგრაფისტთა ჯგუფმა რამდენიმე წლის წინ გადაიღო ფილმი „დიდი ჭადრაკი", რეჟისორებს სურდათ გაეგოთ ფიშერის მოსაზრება ამ ფილმზე. ბობიმ წინადადება მიიღო, ოღონდ გასამრჯელოდ კვლავ 5 ათასი დოლარი მოითხოვა.

იგი, როგორც ყოველთვის, მარტო იყო, მიუხედავად იმისა, რომ ქალები მოსწონდა და მათ გულგრილად ვერ უყურებდა. მაგრამ ქალისთვის ალბათ ძალზე ძნელია ფიშერთან საერთო ენის გამონახვა. მე, მაგალითად, მიჭირს კიდეც ასეთი ქალის წარმოდგენა. ბობისთან ერთად ცხოვრება საკუთარი თავის მთლიანად დავიწყებას ნიშნავს. წავა კი ვინმე ასეთ მსხვერპლზე?

**შენიშვნა: პროფესორ ფრენკ ბრედის ჩანაწერები ფიშერის ცხოვრების ამერიკულ პერიოდს ეხება.**

ფეხბურთში 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილენი

# კოლუმბია

რა შეიძლება მივიჩნიოთ ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი თამაშების მთავარ სენსაციად? ზოგი საფრანგეთის ნაკრების გასაოცარ მარცხს ასახელებს საკუთარ მინდორზე ისრაელისა და ბულგარეთის გუნდებთან, სხვებს მიაჩნიათ, რომ ყველაზე დიდი მოულოდნელობა იყო არგენტინელთა გამანადგურებელი მარცხი (0-5) შინ, ბუენოს-აირესის „რივერ-პლეიტის" სტადიონზე, კოლუმბიელებთან.

კოლუმბიის ნაკრები რომ მეტად ანგარიშგასაწევი ძალაა, ეს მსოფლიოს წინა ჩემპიონატზეც სრულიად ნათელი შეიქნა. კოლუმბიელებმა წინასწარ „დ" ჯგუფში მოუგეს (2-0) არაბთა გაერთიანებული საემიროების ნაკრებს, წააგეს (0-1) იუგოსლაველებთან და ფრედ (1-1) ითამაშეს მომავალ მსოფლიოს ჩემპიონებთან — გერმანელებთან. ამით გუნდი 16 უძლიერესს შორის მოხვდა, მერვედფინალში კი დამატებით დროში დამარცხდა კამერუნელებთან — 1-2.

კოლუმბიის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატისათვის ფრანსისკო მატურანა ამზადებს. მან უკვე საკმაო ხანია ყურადღება მიიპყრო როგორც საუკეთესო სპეციალისტმა, კარგმა ტაქტიკოსმა. მატურანას გუნდმა უკვე საკმაოდ ბევრი საკონტროლო მატჩი გამართა, სადაც ცნობილ ოსტატებთან ერთად, რომლებიც უმეტესად საზღვარგარეთის კლუბებში თამაშობენ, ახალგაზრდებიც გამოსცადა. სულ ახლახან დაიწყო კოლუმბიელთა დასკვნითი შეკრება, საერთო შთაბეჭდილება ისეთია, რომ ნაკრები ნაყოფიერად ემზადება მსოფლიო ჩემპიონატისთვის.

მატურანამ არჩევანი უნდა გააკეთოს ორ მეკარეს — იგუიტასა და ნინიოს შორის. გულშემატკივრებს ახსოვთ იგუიტას თამაშის ექსცენტრული მანერა, როდესაც იგი ხშირად გამოდიოდა მინდვრის შუაგულში. ეს მრავალნაცადი, მაღალტექნიკური მეკარე გახლავთ, რომელზეც ნაკლებად მოქმედებს მწვრთნელების შეგონება.

წინა ჩემპიონატიდან ნაკრებს შემორჩნენ ვეტერანი მცველები ესკობარი და ერერა. მატურანამ ახლა უნდა გადაწყვიტოს ვინ ითამაშებს მათ მხარდამხარ დაცვაში. გუნდის კაპიტანი ვალდერამა, როგორც გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ, ოთხი წლის წინათ იტალიაში ნამდვილად ბრწყინავდა. ასევე შესანიშნავად ითამაშა მან შარშანდელ სეზონში, მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩები, 1993 წლის სეზონის ბოლოსთვის კი უკვე მეორედ მიიჩნიეს სამხრეთ ამერიკის №1 ფეხბურთელად. ეს ფაქტი ვალდერამას განსაკუთრებულ ოსტატობაზე მეტყველებს. წლების განმავლობაში იგი გუნდის სული და გულია, ამიტომაც მწვრთნელ მატურანასთვის დიდი დარტყმა იყო ვალდერამას ამასწინანდელი მძიმე ტრავმა და მუხლისთავის რთული ოპერაცია. შუა ხაზზე ვალდერამასთან ერთად თითქმის ყველა მატჩში გამოდიოდნენ მსოფლიოს წინა ჩემპიონატის მონაწილეები რედინი და ალვარესი, უფრო იშვიათად კი, კიდევ ერთი ვეტერანი ესტრადა.

გადახალისება ყველაზე მეტად წინა ხაზს შეეხო. აქ დარჩა ვეტერანი რინკონი, რომელიც არგენტინის პირველ ლიგაში პოპულარულ „ბოკა ხუნიორსში" გამოდის. მთელი 1993-94 წლების სეზონის მანძილზე კარგად თამაშობდა მიუნხენის „ბაიერნში" ცენტრალური თავდამსხმელი ვალენსია, რომელზეც მატურანა დიდ იმედებს ამყარებს. ახლა, უკანასკნელი ცნობებით, „ბაიერნმა" ვალენსია გაცვალა „პორტუს" ბულგარელ ფეხბურთელ კოსტადინოვში, თუმცა ამ ამბავს, კოლუმბიის ნაკრებისთვის ეტყობა, დიდი მნიშვნელობა არ ექნება. რაც შეეხება ნაკრების კიდევ ერთ თავდამსხმელს, იტალიის „პარმაში" მოთამაშე ასპრილიას, ექსპერტების აზრით, აქ საქმე გვაქვს ბრწყინვალე ტალანტთან. სამხრეთამერიკული ფეხბურთის „ახალი ტალღის" ერთ-ერთ ყველაზე კოლორიტულ წარმომადგენელთან, რომელსაც ახლა ბევრი კლუბი ეპატიჟება. მიმომხილველები ფიქრობენ, რომ ტრიო რინკონი — ვალენსია — ასპრილია აშშ-ში მეტოქეებს დიდ უსიამოვნებას შეამთხვევს. მატურანამ, ბოლოსდაბოლოს, მიაგნო მაღალი კლასის თავდამსხმელებს, რაც გუნდს წინა მსოფლიო ჩემპიონატში აშკარად აკლდა.

ნაკრების მთავარ პრობლემად ბოლო მომენტამდე რჩებოდა რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის ტრავმა. თუ ყველა ეს ოსტატი მწყობრში ჩადგა, კოლუმბიელებს არ უნდა გაუჭირდეთ პროგრამა-მინიმუმის შესრულება. ეს გახლავთ წინასწარი „ა" ჯგუფიდან შემდგომ ეტაპზე გასვლა და მერვედფინალში მოხვედრა. მატურანას, რა თქმა უნდა, სულაც არ სურს ამით შემოიფარგლოს, მას მიაჩნია, რომ გუნდს გაცილებით უკეთესი შედეგის მიღწევაც შეუძლია.



კარლოს ვალდერამა

ბიძი ბამრეკელი

## 167 ქვეყანა ერთ მწკრივში

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალური ბიულეტენის — „ფიფას ნიუსის" მარტის ნომერში დაიბეჭდა ფედერაციის წევრი ქვეყნების ეროვნული ნაკრები გუნდების სარეიტინგო სია 1994 წლის დასაწყისიდან მარტის ჩათვლით. სპეციალურ კომენტარში ნათქვამია, რომ სამი თვის მანძილზე სხვადასხვა რეგიონში სულ 35 მატჩი გაიმართა. ასე რომ, ადგილების განაწილება უმეტესწილად შარშანდელი მაჩვენებლებით მოხდა.

სულ ფიფას მიერ კლასიფიცირებულია 167 ქვეყნის გუნდი, ჩვენ აქ, რა თქმა უნდა, ყველა შედეგს ვერ მოვიყვანთ, ამიტომ შემოგთავაზებთ მხოლოდ პირველი ოცეულის მაჩვენებლებს. პირველ სვეტში აღნიშნულია ქულების რაოდენობა, მეორეში კი 1993 წლის რეიტინგის მონაცემები. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ანგარიშგასაწევია ორი გარემოება: ის, რომ გერმანია კვლავ ინარჩუნებს ლიდერობას და ის, რომ შარშანდელმა მეორე ლიდერმა იტალიამ წლევანდელი მაჩვენებლებით XI ადგილზე გადაინაცვლა. მაშ ასე, გთავაზობთ ლიდერთა ოცეულს:

| | | ქულები | 1993 წ. |
|---|---|---|---|
| 1. | გერმანია | 58,72 | 1 |
| 2. | ბრაზილია | 58,27 | 3 |
| 3. | ნორვეგია | 58,05 | 4 |
| 4. | დანია | 56,80 | 6 |
| 5. | შვეიცარია | 56,31 | 12 |
| 6. | ესპანეთი | 55,69 | 5 |
| 7. | შვეცია | 55,22 | 9 |
| 8. | არგენტინა | 55,05 | 8 |
| 9. | ნიდერლანდები | 55,04 | 7 |
| 10. | რუმინეთი | 54,21 | 13 |
| 11. | იტალია | 53,75 | 2 |
| 12. | ინგლისი | 53,59 | 11 |
| 13. | ირლანდია | 52,74 | 10 |
| 14. | მექსიკა | 51,93 | 16 |
| 15. | საფრანგეთი | 51,82 | 15 |
| 16. | რუსეთი | 51,51 | 14 |
| 17. | ურუგვაი | 50,78 | 1 |
| 18. | ნიგერია | 49,72 | 1[illegible] |
| 19. | პორტუგალია | 49,25 | 20 |
| 20. | კოლუმბია | 48,99 | 21 |

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ამ სიაში რუსეთის გარდა (რომელიც, როგორც ნახეთ XVI ადგილზეა) მოხვდნენ ლიტვა, ლატვია, უკრაინა, ესტონეთი, ბელარუსი და საქართველო, რომელთა მაჩვენებლები ასეთია:

| | | | |
|---|---|---|---|
| 86. | ლიტვა | 18.80 | 85 |
| 89. | ლატვია | 17,45 | 86 |
| 90. | უკრაინა | 16,02 | 90 |
| 113. | ესტონეთი | 11,20 | 109 |
| 142. | ბელარუსი | 4,00 | 137 |
| 156. | საქართველო | 0,42 | — |

საქართველოს, ჩეხეთისა და სლოვაკეთის მონაცემებს დართული აქვთ სპეციალური განმარტება იმის თაობაზე, რომ მათი აღრიცხვა დაიწყო 1994 წლიდან და ამდენად მიკუთვნებული ადგილები პირობითია.

## 18 მაისს ათენში

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

# „ბარსელონა"

ესპანეთის „ბარსელონა" სადღეისოდ, ეჭვგარეშეა, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო საფეხბურთო გუნდია. კლუბის სრული სახელწოდებაა „საფეხბურთო კლუბი „ბარსელონა", იგი დააარსა შვეიცარიელმა ხუან ჰამპერმა 1899 წლის 20 ნოემბერს. ესპანეთის ლიგაში უცვლელად თამაშობს მისი შექმნიდან (1929 წ.), ისევე, როგორც მადრიდის „რეალი" და ბილბაოს „ატლეტიკი".

თავისი არსებობის მანძილზე „ბარსელონას" მუდამ დიდი მიღწევები ჰქონდა. 13-ჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი, 18-ჯერ დაიკავა მეორე ადგილი. 21-ჯერ მოიპოვა თასი. 1992 წელს ჩემპიონთა თასის მფლობელი გახდა, სამჯერ მოიპოვა თასების მფლობელთა თასი (1979, 1982, 1989), ამდენჯერვე — უეფას თასი (1958, 1860, 1966), გარდა ამისა, ორჯერ იყო ჩემპიონთა თასის ფინალისტი, ორჯერ — თასების მფლობელთა თასის ფინალისტი, ერთხელ — უეფას თასის ფინალისტი. 1992 წელს დაეუფლა ევროპის სუპერთასს.

1984-85 წლების სეზონში „ბარსელონამ" ესპანეთის ჩემპიონატების რეკორდი დაამყარა, როცა პირველიდან ბოლო ტურამდე უცვლელად ლიდერობდა. სამი წლის შემდეგ ეს მიღწევა მადრიდის „რეალმაც" გაიმეორა.

„ბარსელონას" ფორვარდი, ეროვნებით სლოვაკი ლადისლაო კუბალა ერთადერთია, რომელმაც ერთ მატჩში 7 გოლი გაიტანა (9-0 „სპორტინგთან" 1951-52 წლების სეზონში). „ბარსელონას ეკუთვნის რეკორდი მეტოქის მინდორზე დიდი ანგარიშით გამარჯვებაში (8-0 „ლას-პალმასთან", 1930-31 წლების სეზონი), მაგრამ ეკუთვნის იმავე სეზონში ყველაზე დიდი ანგარიშით დამარცხების რეკორდიც (1-12) ბილბაოში „ატლეტიკთან".

ყველაზე გამოჩენილი ოსტატები კლუბის ისტორიაში: ზამორა (30-იანი წლები), რამალეტსი, ევარისტო, კოჩიში, ციბორი, კუბალა (40-იან წლებში), მორენო, ჰერედა, სადურნი, სუარესი (60-იანი წლები), კრუიფი, ნეესკენსი, კრანკლი, კინი, რექსაჩი, სიმონსენი (70-იანი წლები), მარადონა, ლინეკერი, შუსტერი, ვიქტორი (80-იანი წლები), სუბისარეტა, რ. კუმანი, მ. ლაუდრუპი, ბაკერი, სტოიჩკოვი, რომარიო, სალინასი, ბეგირისტაინი (90-იანი წლები).

„ბარსელონას ფეხბურთელები არაერთგზის იყვნენ ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირები: 1942-43 წწ. — მარტინი — 32 გოლი, 1948-49 — სესარი (28), 1964-65 — რე (25), 1970-71 — რექსაჩი (17), 1978-79 — კრანკლი (29), 1980-81 — კინი (20), 1981-82 — კინი (26).

ლ. სუარესმა 1960 წელს და ი. კრუიფმა 1973 წელს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდო „ოქროს ბურთი" მოიპოვეს. „ვერცხლის ბურთი" მიიღეს შუსტერმა (1980), ლინეკერმა (1986) და სტოიჩკოვმა (1992). „ბრინჯაოს ბურთი" — კრუიფმა (1975), შუსტერმა (1981, 1985). 1979 წელს კრანკლმა მიიღო „ბრინჯაოს ბუცი", გვარდიოლამ კი პრიზი „ბრავო" 1991 წელს.

გუნდის ერთ-ერთი ბურჯია ესპანეთის ნაკრების გამოჩენილი გოლკიპერი



ეროვნებით ბასკი ანდონი სუბისარეტა (დაიბადა 1961 წელს). დანარჩენი ორი მეკარე კარლოს ბუსკეტსი (1967 წ.) და ხესუს მარიანო ანგოი (1966 წ.) იშვიათად გამოდის მინდორზე.

„ბარსელონა" თამაშობს სამი მცველით. მათ შორის ყველაზე უფრო ცნობილია ჰოლანდიის ნაკრების კაპიტანი, გუნდის დირიჟორი, საჯარიმო დარტყმების უბადლო შემსრულებელი რონალდ კუმანი (1963 წ.). იმის გამო, რომ კუმანი სისტემატურად გადის წინა ხაზზე, დიდი დატვირთვით თამაშობენ ალბერტ ფერერი (1970 წ.) და ხოსეპ გვარდიოლა (1971 წ.). მინდორზე ზოგჯერ გამოდიან ხუან კარლოს როდრიგესი (1965 წ.) და სერხი ლოპესი (1967 წ.).

„ბარსელონას" მაღალი კლასის ნახევარმცველების მთელი ჯგუფი ჰყავს. ესენია: ეუსებიო საკრისტანი (1964 წ.), მიგელ ანხელ ნადალი (1966 წ.), ხოსე მარი ბაკერო (1963 წ.), გილერმო ამორი (1967 წ.), ივან ეგლესიასი (1971 წ.), ხუან ანდონი გოიკოეჩეა (1965 წ.).

გუნდის საუკეთესო რგოლია თავდასხმა, დღეისათვის ერთ-ერთი უძლიერესი მსოფლიოში. აქ წამყვან როლს თამაშობენ ბულგარელი ხრისტო სტოიჩკოვი (1966 წ.) და ჰოლანდიის „პსვ ეინდჰოვენიდან" მიწვეული ბრაზილიელი რომარიო და სოუზა ფარია (1966 წ.). იმის გამო, რომ ნებადართულია მხოლოდ სამი უცხოელის ერთდროულად გამოყვანა მინდორზე, სულ უფრო იშვიათად უწევს თამაში ისეთ შესანიშნავ ოსტატს, როგორიც დანიელი მიქაელ ლაუდრუპია (1964 წ.). იგივე ეხება შესანიშნავ ესპანელ თავდამსხმელს ხულიო სალინასს (1962 წ.), ოღონდ, იმის გამო, რომ ამჟამად ვერ უწევს კონკურენციას ვერც სტოიჩკოვსა და ვერც რომარიოს, სისტემატურად თამაშობს... ესპანეთის ნაკრებში! თითქმის ასეთივე მდგომარეობაშია ბასკი აიტორ ბეგირისტაინი (1964 წ.), რომელიც უფრო ხშირად შემცვლელად გამოდის. მინდორზე ზოგჯერ გამოჰყავთ კიკე ესტებარანციც (1965 წ.).

„ბარსელონას" მწვრთნელია ახლო წარსულის ბრწყინვალე თავდამსხმელი, ახლა კი გამოჩენილი სპეციალისტი იოჰან კრუიფი (ჰოლანდია).

# „მილანი"

გუნდის სრული სახელწოდებაა „მილანის ათლეტური კლუბი". დაარსდა 1899 წლის 15 იანვარს ინგლისელ ალფრედ ედვარდსის ინიციატივით და თავდაპირველად ერქვა „მილანის კრიკეტისა და ფეხბურთის კლუბი". იტალიის პირველ ლიგაში მისი შექმნიდანვე მონაწილეობს, თუმცა ორჯერ მოუხდა მისი დატოვება (ეს 1980-81 და 1982-83 წლებში მოხდა), თანაც პირველ შემთხვევაში „მილანი" სამარცხვინოდ გააძევეს ლიგიდან იმის გამო, რომ ე.წ. „მოლაპარაკებით მატჩებში" მონაწილეობა დაუმტკიცეს.

თავისი არსებობის მანძილზე „მილანს" მართლაც ბრწყინვალე მიღწევები ჰქონდა. იგი 13-ჯერ იყო იტალიის ჩემპიონი, ოთხჯერ დაეუფლა იტალიის თასს, ოთხჯერ — ევროპის ჩემპიონთა თასს (1963, 1969, 1989, 1990), ორჯერ — თასების მფლობელთა თასს (1968, 1973), ორჯერ ჩემპიონთა თასის ფინალისტი იყო, ერთხელ — თასების თასისა, ორჯერ (1989, 1990) დაეუფლა სუპერთასს, სამჯერ (1969, 1989, 1990) — საკონტინენტთაშორისო თასს.

წლების განმავლობაში გუნდის ყველაზე გამოჩენილი ფეხბურთელები იყვნენ: ბუფონი, გრენი, ნორდალი, ლიდჰოლმი (ეს სამი უკანასკნელი შვედია), სკიაფინო (ურუგვაი, შემდგომში — იტალია), ალტაფინი (ბრაზილია, შემდგომში იტალია), ამარილდო (ბრაზილია), ჰამრინო (შვეცია), რივერა, ტრაპატონი (ახლანდელი გამოჩენილი მწვრთნელი), შნელინგერი (გფრ) — 40-60-იან წლებში, შემდეგ — ალბერტოზი, კაპედო („მილანის" ახლანდელი მწვრთნელი), კიარუჯი, მალდინი — 70-იან წლებში, პეიტლი (ინგლისი), გერეტსი (ბელგია), კოლოვატი, ფ. ბარეზი (იტალიის დღევანდელი ნაკრების კაპიტანი), ვირდისი, ანჩელოტი, ტასოტი, კოსტაკურტა, ევანი, გულიტი, ვან ბასტენი, რაიკაარდი (სამი უკანასკნელი ჰოლანდიელია) — 80-იან წლებში, ალბერტინო, პ. მალდინი, ლენტინი, პაპენი (საფრანგეთი), ს. როსი, ბობანი (ხორვატია), სავიჩევიჩი (ჩერნოგორია).

„მილანის" ფეხბურთელები არაერთხელ დაუფლებიან პოპულარულ ევროპულ ჯილდოებს. „ოქროს ბურთი" მიიღეს რივერამ (1969), გულიტმა (1987), ვან ბასტენმა (1988-89, 1992 წლებში), „ვერცხლის ბურთი" — რივერამ (1963). გულიტმა (1988), ბარეზიმ (1989), „ბრინჯაოს ბურთი" — რაიკაარდმა (1988, 1989).

ყველაზე მეტი ბურთი „მილანის" შემადგენლობაში გატანილი აქვთ შვედ ჰუნარ ნორდალს — 210, რივერას — 122, ბრაზილიელ-იტალიელ ალტაფინის — 120, ალდო ძოფის — 108, მარკო ვან ბასტენს (რომელმაც უკანასკნელი სეზონი გააცდინა) — 90 ბურთი.

ძირითადი მეკარეა სებასტიანო როსი (დაიბადა 1964 წ.). მის გარდა გუნდს კიდევ ჰყავს ორი მეკარე — მარიო იელპო და ფრანჩესკო ანტონიოლი, რომელთაც თამაში თითქმის არ უწყდებათ.

დაცვაში გამოდიან მაურო ტასოტი (1960 წ.), ალესანდრო კოსტაკურტა (1966 წ.), გუნდის კაპიტანი ფრანკო ბარეზი (1960 წ.). იტალიური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი პანუჩი (1973 წ.), პაოლო მალდინი (1968) და საფრანგეთიდან ამ სეზონში გადასული ზანგი ფეხბურთელი მარსელ დესაიი (1968 წ.). გარდა ამისა, გუნდს ჰყავს მცველები ფილიპო გალი, ალესანდრო ორლანდო და სტეფანო ნავა.

მეტად ძლიერია შუა ხაზიც. აქ თამაშობენ სტეფანო ერანიო (1966 წ.), ხორვატი ზვონიმირ ბობანი (1968 წ.), ჩერნიგორიელი დეიან სავიჩევიჩი (1966 წ.), ფერნანდო დე ნაპოლი (1964 წ.), დემეტრიო ალბერტინი (1971 წ.), ჯანლუიჯი ლენტინი (1969 წ.).

„მილანს" ამჟამად მაღალი კლასის 6 თავდამსხმელი ჰყავს. თუმცა, ყველაზე სახელგანთქმული მათ შორის, ჰოლანდიელი მარკო ვან ბასტენი (1964 წ.) სერიოზული ტრავმის გამო ხანგრძლივი დროით „ისვენებს", დანარჩენი ხუთი კი მწყობრშია: ფრანგი ჟან-პიერ პაპენი (1963 წ.), დანიელე მასარო (1961 წ.), მარკო სიმონე (1969 წ.), დანიელი ბრაიან ლაუდრუპი (1969 წ.) და რუმინელი ფლორინ რადუჩოუ (1970 წ.).

ბიძი თორელი

ჩემპიონთა ლიგის სადარბაზო ბარათები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

გაიმართა საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის X ტურის (I-X ადგილები) შეხვედრები. მათი შედეგები ასეთია: „კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 4-0, „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ივერია“ (ხაშური) 3-0, „დინამო“ (ბათუმი) — „დილა“ (გორი) 3-0.

თბილისის „დინამო“ თურქეთში იმყოფება ამხანაგური შეხვედრების გასამართად, რის გამო არ შედგა მატჩი სამტრედიაში. ხოლო თბილისის „შევარდენი-1906“-სთან მატჩზე არ გამოცხადდა ზესტაფონის „მარგვეთი“.

### XI-XIX ადგილებისთვის

„ალაზანი“ (გურჯაანი) — „მრეტები“ (თბილისი) 3-2

„ოდიში“ (ზუგდიდი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 3-1

„სამგურალი“ (წყალტუბო) — „საოვნელა“ (თერჯოლა) 1-0

„შუქურა“ (ქობულეთი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 1-0

### პოლიციელმა მსაჯი ნოკაუტში ჩააგდო

დასასრულს უახლოვდება გათამაშება მეორე ჯგუფში. აღმოსავლეთ ზონაში პირველი ადგილისათვის გააფთრებული პაექრობა მიმდინარეობს თბილისის გუნდების „ანცსა“ და „თეთრი არწივის“ და ყვარლის „დურუჯის“ შორის, ხოლო დასავლეთ ზონაში ერთმანეთს ეჭიშპებიან სენაკის „ეგრისი“ და ოზურგეთის „ანაკო“. სწორედ ეს ორი უკანასკნელი გუნდი შეხვდა ერთმანეთს ოზურგეთში 10 მაისს.

დაძაბული ბრძოლა მასპინძლების გამარჯვებით (1-0) დამთავრდა. კარგად გაართვა თავი მატჩს ხონის მსაჯთა ბრიგადამ თ. მაჭარაძის ხელმძღვანელობით.

სამწუხაროდ, მატჩის დამთავრებისთანავე არბიტრს მოულოდნელად, ლაჩრულად უკნიდან წამოეწია პოლიციის ლეიტენანტი (იგი სენაკელებს ჩამოჰყვა), რომელმაც ნოკაუტში გაგზავნა მსაჯი. არასპორტულად მოიქცა ზოგიერთი სენაკელი გულშემატკივარიც, მათ ქვების ცვენა დაატეხეს მსაჯებს.

ჯემალ ჟიპაშვილი,
„ლელოს“ სპეც. კორესპ.

---

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის მონაწილენი აფრიკიდან ნიგერიელი ფეხბურთელები ამხანაგურ საერთაშორისო შეხვედრებს მართავენ ევროპაში. ნიგერიელები დამარცხდნენ შვეციის ნაკრებთან — 1-3, ხოლო საბერძნეთის გუნდთან ფრედ დაამთავრეს თამაში — 1-1.

## შტეფი გრაფის უპირატესობით

ამ დღეებში გამოქვეყნდა ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ასოციაციის ახალი რეიტინგი, რომელიც ერთხელ კიდევ ცხადყოფს გერმანელ შტეფი გრაფის აშკარა უპირატესობას მეტოქეებზე:

1. შ. გრაფი (გერმანია) — 437
2. ა. სანჩესი (ესპანეთი) — 235
3. კ. მარტინესი (ესპანეთი) — 180
4. მ. ნავრატილოვა (აშშ) — 172
5. ი. ნოვოტნა (ჩეხეთი) — 154
6. გ. საბატინი (არგენტინა) 125
7. კ. დატე (იაპონია) — 124
8. მ.ჯ. ფერნანდესი (აშშ) — 119
9. ნ. ზვერევა (ბელარუსი) — 114
10. ლ. ლევენპორტი (აშშ) — 106

## ჯორდანი ციფრებში

ნბა-ს ყოფილ ვარსკვლავსა და პროფესიული კალათბურთის სუპერ-მოთამაშეზე მაიკლ ჯორდანზე ამბობდნენ, რომ ღმერთმა იგი შექმნა, როგორც იდეალური [illegible] და ბრწყინვალე ბიზნესმენი. როგორი კალათბურთელი იყო მაიკლ ჯორდანი ყველამ კარგად იცის, აი როგორი ბიზნესმენი კი, ამაზე მისი წლიური შემოსავალი გვიქმნის წარმოდგენას.

„ჩიკაგო ბულზში“ მაიკლ ჯორდანის ხელფასი 3.250.000 დოლარი იყო. სულ კი მისი შემოსავალი 25.750.000 დოლარს შეადგენდა. ჯორდანი რეკლამას უკეთებდა 20 ფირმასა და ორგანიზაციას და მისი ყოველწლიური შემოსავალი სწორედ მათი ჯამისაგან დგებოდა.



[illegible] ჯორდანი.

| კომპანია | თანხა |
|---|---|
| ნაიკი | 8.000.000 |
| სბს-ფიქსი | 2.200.000 |
| გეტორეიდი | 1.800.000 |
| მაკდონალდსი | 1.500.000 |
| თრეიდინგ ქარდზი | 1.000.000 |
| უილსონი | 750.000 |
| ელექტ[illegible]ნიკ ართსი | 750.000 |
| [illegible]თიზი | 750.000 |
| შევროლე | 750.000 |
| ფარლეი ქენდი | 600.000 |
| ბიგსბი-ქრაზერსი | 500.000 |
| ოჰაიო აროთსი | 500.000 |
| ჰაინეს ენდერვეა | 500.000 |
| ენ-ბი-სი ტვ. | 500.000 |
| ჰენგ თაიმი | 500.000 |
| ვი-ბი-ბი-ემ ტვ. | 500.000 |
| ერო-სლიფინგი | 500.000 |
| ილინოის ლოთერი | 500.000 |
| კოსტაკი ბრ. | 200.000 |
| ქლეო კალენდარს | 200.000 |
| „ჩიკაგო ბულზი“ | 3.250.000 |
| სულ | **25.750.000** |

## ვლადიმერ მაისურაძე



ქართულმა საჭიდაო სკოლამ დიდი დანაკლისი განიცადა: 71 წლისა გარდაიცვალა ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა თაობების აღმზრდელი, ღირსეული ადამიანი, დამსახურებული მწვრთნელი ვლადიმერ მაისურაძე. ამ ქვეყნიდან მისი წასვლა მართლაც აუნაზღაურებელი დანაკლისია, ვინაიდან ჩვენში იშვიათად თუ მოიძებნება „კლასიკოსი“ ფალავანი, რომელსაც მისი „ხელი“ არ დასტყობოდა. დიახ, მაისურაძის ცნობილ ილეთს „ტრიალს“ ძნელად თუ დაუსხლტებოდა ვინმე და მან არაერთ სპორტსმენს, თვით მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებსაც კი გზა გაუკაფა გამარჯვების კვარცხლბეკისკენ.

ვ. მაისურაძემ „ტრიალის“ ყველა ნიუანსი ისე სრულჰყო, რომ მეთოდური სახელმძღვანელოც გამოსცა სახელწოდებით „ტრიალის სისტემა კლასიკურ ჭიდაობაში“. ეს ნაშრომი შესულია 1963 წელს მოსკოვში გამოცემულ დიდ კრებულში „ჭიდაობის სრულყოფის გზები“. მან 17 წელი იმსახურა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ბერძნულ-რომაული ჭიდაობის მწვრთნელად, სწორედ ამ პერიოდში მომავალ ინჟინრებს არაერთხელ მოუპოვებიათ საკავშირო ჩემპიონთა წოდება სტუდენტებს შორის. ვლადიმერ მაისურაძე ნაყოფიერად მუშაობდა საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელად.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა გლდანის სპორტსკოლა-ინტერნატში, სადაც მან ერთდროულად 40-მდე აღსაზრდელი აზიარა ამ ურთულესი და ულამაზესი ჭიდაობის ხელოვნებას.

50-ზე მეტი სპორტის ოსტატი აღზარდა ვ. მაისურაძემ. მისი შეგირდები იყვნენ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი მიხეილ სალაძე, ევროპის ჩემპიონი შოთა მორჩილაძე, ყოფილი საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი ავთანდილ მაისურაძე, მსოფლიოს ჩემპიონები ახალგაზრდებს შორის თემურ ლეჟავა, ჯემალ ბაკურიძე და მრავალი სხვა.

ვ. მაისურაძე თითქმის სიცოცხლის ბოლომდე დარჩა ხალიჩაზე, მთელი მონდომებით და უნარით ზრდიდა „ტრიალისა“ და არა მარტო ამ ილეთის ოსტატებს. მით უფრო დასანანია დანაკლისი, რომელიც მისი დაკარგვით განიცადა ჩვენმა ეროვნულმა ჭიდაობამ.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი,
საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია.

---

საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტი იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ფალავანი, დამსახურებული მწვრთნელი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში

ვლადიმერ მაისურაძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## პაატა (ქერა) ლომიძე



წუთის ყოფილა ეს სოფელი მართლა, წუთის ერთი გაელვება და მშვენიერებად ექცია ეს გაელვება, მხოლოდ შენისთანებს შეეძლოთ, პაატა. შენნაირ კეთილ, ვაჟკაცურ, ამაყ ადამიანებს შეუძლიათ მშვენიერება თავიანთ ლამაზ, კაცურ სხეულში დაავანონ და ჩვენს უდაბურ ყოფას თავისებური, განუმეორებელი, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ხიბლი შესძინონ.

27 წელი რა ბედენაა. ახლა უნდა მოგემკა შენი დათესილი სიკეთის ნაყოფი. მაგრამ, ვაი, რომ ცხოვრება ბერწ ნიადაგად იქცა ჩვენი ოცნებების, ჩვენი ჩანაფიქრების აუსრულებლად.

ვინ რა იცოდა, ახალგაზრდულ საფეხბურთო სკოლაში პირველად რომ დავაგორეთ ბურთი, ან საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში სიჭაბუკისა და იმედის თასზე მოგებისას სიხარულისგან თავგზააბნეულები ერთმანეთს რომ ვეხვეოდით, ცოტა ხანში ეს ყველაფერი მწარე და მაინც ლამაზ მოგონებად გადაიქცეოდა.

ყველაზე ლამაზი და მწარე მოგონება შენა ხარ, ქერა, ვის ეგონა, რომ მუხთალი ტყვია სწორედ შენისთანა კაცურ კაცს მოსძებნიდა, ჩვენ კი ისევ ბიჭებს, ნაადრევად დაგვაკაცებდა, დაგვადინჯებდა, დაგვაბრძენებდა.

კაცობის, მეგობრობის, თბილისელობის ეტალონად დარჩი ჩვენთვის, ჯერ ისევ პატარა ბიჭო, 27 წლის პაატა ლომიძე.

სოფელი კი ძართლა წუთისა ყოფილა. წუთის სიხარულიც და წუთის ტკივილიც შენ ყოფილხარ, ძმაო. ასეთი ბედი გარგუნა განგებამ. ამ ტკივილშიც გამორჩეული უნდა ყოფილიყავი თურმე.

გვიყვარხარ, გვახსოვხარ და გვენატრები უკვე. გაუსაძლისი მონატრებაც შენნაირ რჩეულებს შესძლებიათ.

მწვანე მინდორზე ისევ გდია შენი ნაფერები ბურთი...

შენ კი სად წახვედი, ქერა?

მეგობრები

## კონსტანტინე (კოტე) ყოჩიაშვილი

შესანიშნავი მხედარი იყო კოტე ყოჩიაშვილი. ამ კაცმა მთელი სიცოცხლე ცხენის კულტის სამსახურს შეალია და წარუშლელი კვალი დატოვა ცხენთგამოცდის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების სრულყოფაში. გამოდიოდა თბილისის, რუსეთისა და უცხოეთის ქვეყნების იპოდრომებზე. მის მიერ მოპოვებული ჯილდოების ნუსხაში შედის გამარჯვება „კრიტერიუმში“ (1200 მ) — 1950 წელს, „დიდი საგაზაფხულო“ (2000 მ) და „კრიტერიუმის“ (1200 მ) პრიზები, ორივე 1951 წელს, „სასინჯი“ პრიზი (1200 მ) და „დიდი საკავშირო“ დერბი (2400 მ) — 1952 წელს, „დიდი საგაზაფხულო“ პრიზი (1400 მ), „დიდი პრიზი“ (1600 მ), „ჩართვის ჯილდო“ (2400 მ) — ყველა — 1953 წელს. „სასინჯი პრიზი“ (1200 მ) და დერბი (2400 მ) — 1954 წელს, „სსრ კავშირის სახელობის პრიზი“ (3200 მ) — 1955 წელს.

სარბიელიდან წასვლის შემდეგ კ. ყოჩიაშვილი ახალგაზრდა მხედრებს ზრდიდა, როგორც გამოცდილმა სპეციალისტმა არაერთ მათგანს გაუკვალა გზა დიდ სპორტულ სარბიელზე.

უაღრესად თბილი, შესანიშნავი პიროვნების და სპეციალისტის კონსტანტინე ყოჩიაშვილის ღვაწლი და ხსოვნა არასოდეს მიეცემა დავიწყებას.

საქართველოს ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაცია.

---

საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტი, ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაცია, თანაუგრძნობენ ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს რ. მანჯავიძეს მეუღლის

ლეილა ზვიადაძის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის თბილისის საცხენოსნო სპორტული ბაზა თანაუგრძნობს ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს რევაზ მანჯავიძეს მეუღლის გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თანაუგრძნობს სეოკის წევრს, რევაზ მანჯავიძეს მეუღლის გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაუგრძნობს წარსულში ცნობილ თანამედროვე ხუთჭიდელს, ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს რევაზ მანჯავიძეს მეუღლის გარდაცვალების გამო.

---

მარადი ძეძამიძე, ჟუჟუნა ჩხეიძე, თინათინ კიკვიძე, მაია ბახსოლიანი, ციალა მაისურაძე, მაისურ მაისურაძე, ტოლიკ გავრილოვი თანაუგრძნობენ ოჯახს

ვლადიმერ მაისურაძის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს რაგბის კავშირი და ვეტერან მორაგბეთა ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს მორაგბეთა გუნდ „მერკურის“ მწვრთნელს გია კურატიშვილს მამის

ოთარ კურატიშვილის

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა [illegible] „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემით — ხელ[illegible]ძღვანელი გ. სიმონიშვილი. [illegible] შემსრულებლები: ე. მანგოშ[illegible], ი. რამიშვილი.

## სპორტული ტელეეკრანი

### „ოსტანკინო“

14. მაისი. 12.00. დოკუმენტური სატელევიზიო ფილმი „მისი უდიდებულესობა ფეხბურთი“. 0.30. ფეხბურთი. ინგლისის თასის ფინალი, „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „ჩელსი“. გადაცემა ინგლისიდან.

15 მაისი. 10.30. „სპორტლოტო“. 22.45. სპორტული უიქ-ენდი.

16 მაისი. 18.25. „გოლი“. 17 მაისი. 10.45. „გოლი“ გამეორებით.

18 მაისი. 22.05. ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა, ფინალი. „ბარსელონა“ (ესპანეთი) — „მილანი“ (იტალია)

19 მაისი. 21.45. „ლოტო-მილიონი“

### „როსია“

14 მაისი. 14.20. დიდი ჰოკეი. 17.30. ფეხბურთი უსაზღვრებოდ. 23.50. სპორტული კარუსელი.

15. მაისი. 10.00. ამერიკის კალათბურთის ეროვნული ასოციაციის საუკეთესო თამაშები. 17.10. მსოფლიო ჩემპიონატი ავტორბოლაში „ფორმულა-1“. მონაკოს „გრან-პრი“. გადაცემა მონტე-კარლოდან. 23.50. სპორტული კარუსელი.

18 მაისი. 18.55. ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. „დინამო“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (მოსკოვი). 23.55. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — ცსკა.

19 მაისი. 17.40. საცხენოსნო სპორტი.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ. კოსტავას, 14. ტელეფონი 99-56-14, 99-56-47. ინდექსი 66435 INDEX. დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოში“